ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №917141

ნომერი: AR1163448

თარიღი : 20.09.2013

გაცემის თარიღი : 27.09.2013

გაცნობის თარიღი : 30.09.2013

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , მასივი დიღომი , კვარტალი III , N 6გ-ს მოპირდაპირედ / ქალაქი თბილისი , ქუჩა ბელიაშვილი , მიმდებარედ (ნაკვეთი 10/093);

დამკვეთი-განმცხადებელი

- ნიკოლოზ ბიბილურიძე პ/ნ 01001005186
- თბილისი გლდანი ა მ/რ კორ. 59 ბ. 31

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურს 2013 წლის 20 სექტემბერს # AR1163448 განცხადებით მომართა შპს „მტკვრისპირი“–ს დირექტორმა ნიკოლოზ ბიბილურიძემ და მოითხოვა სამსახურის 2008 წლის 08 დეკემბრის #01/1741 ბრძანებაში ცვლილების შეტანა დამკვეთის შეცვლასთან დაკავშირებით.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის თანახმად, სამსახურმა შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2008 წლის 08 დეკემბრის #01/1741 ბრძანებით ქ. თბილისში, დიღმის მასივი III კვარტალში, #6გ– მოპირდაპირედ, მოქ. დავით მარტიაშვილისა და მოქ. კახა შარაშენიძის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე შეთანხმდა საზოგადოებრივი კვების ობიექტის არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა, რომლის მოქმედების ვადა განისაზღვრა 2008 წლის 18 დეკემბრიდან 2010 წლის 18 თებერვლამდე. აღნიშნულ ინდივიდუალურ ადიმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში დამკვეთად მითითებულია მოქ. დავით მარტიაშვილი და მოქ. კახა შარაშენიძე.

განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი საჯარო რეესტრის ამონაწერის (განაცხადის რეგისტრაციის #882013411545, მომზადების თარიღი: 19/09/2013, საკადასტრო კოდი: #01.13.03.010.097) საფუძველზე ირკვევა, რომ დღეის მდგომარეობით საპროექტო მიწის ნაკეეთის მესაკუთრეს წარმოადგენს შპს „მტკვრისპირი“.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 20-ე მუხლის თანახმად, დამკვეთს პირველ და მეორე სტადიაზე წარმოადგენს განმცხადებელი, ხოლო მესამე სტადიაზე დამკვეთი შეიძლება იყოს მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული ან ასაშენებელი შენობა-ნაგებობების მესაკუთრე, მოსარგებლე, ან მისი/მათი უფლებამოსილი პირი, რომელსაც აქვს ობიექტის სამშენებლოდ განვითარების ინტერესი.

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით და ვინაიდან, დღეის მდგომარეობით სამსახურის 2008 წლის 08 დეკემბრის #01/1741 ბრძანება მშენებლობის ნებართვის გაცემის ნაწილში წარმოადგენს ძალადაკარგულ აქტს და ამასთან, პროექტის შეთანხმების სტადიაზე ნებართვის გამცემი ორგანო არ იკვლევს სამშენებლო მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლებას (მოქმედი კანონმდებლობის თანახმად მშენებლობის ნებართვის გაცემის მეორე სტადიაზე დამკვეთს წარმოადგენს განმცხადებელი), სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას ცვლილება შეიტანოს ზემოაღნიშნულ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში დამკვეთის შეცვლასთან დაკავშირებით. თუმცა, წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად სამსახური ადასტურებს, რომ შპს „მტკვრისპირი“–ს საკუთრებაში არსებული ქონების სამშენებლოდ განვითარების შემთხვევაში დამკვეთად მოქ. დავით მარტიაშვილისა და მოქ. კახა შარაშენიძის ნაცვლად დაფიქსირდება შპს „მტკვრისპირი“.
